საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კახიაშვილი კახი თამაზის ძე

კახიაშვილი კახი თამაზის ძე (აკაკიოს კახიაშვილესი, ბერძნ. Ακάκιος Κασιασβίλης (დ. 13. II. 1969, ცხინვალი), სპორტსმენი (ძალოსანი). სამგზის ოლიმპიური (ბარსელონა, 1992; ატლანტა, 1996; სიდნეი, 2000) და სამგზის მსოფლიო (1995, 1998–99) ჩემპიონი. ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1993–94; 1995–96). მსოფლიო ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორი (1993–94), ევროპის ჩემპიონატების ორგზის მეორე (1994; 1999) და მესამე პრიზიორი (1998). სპორტის დამს. ოსტატი. დაამყარა მსოფლიო რეკორდები: ორჭიდში 420 კგ (99 კგ კატეგორიაში, 1996); ატაცში – ორი მსოფლიო რეკორდი: 185,5 კგ (91 კგ კატეგორიაში, 1994) და 188 კგ (94 კგ კატეგორიაში, 1999); აკვრაში – სამი: 227,5 კგ (91 კგ კატეგორიაში, 1995), 228,5 კგ (91 კგ კატეგორიაში, 1995) და 235 კგ (99 კგ კატეგორიაში, 1996). 1994-იდან გამოდიოდა საბერძნეთის სახელით. 2006 კვლავ აღიდგინა საქართველოს მოქალაქეობა. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით (1994).